

შპს ჯითისი ქრენიქსი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით.....	3
კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	4
კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	5
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
4. ფული და ფულის ექვივალენტები.....	9
5. სავაჭრო მოთხოვნები	10
6. გადახდილი ავანსები	10
7. სავაჭრო ვალდებულებები.....	10
8. მიღებული ავანსები	11
9. სასესხო ვალდებულებები.....	11
10. შემოსავალი რეალიზაციიდან და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	11
11. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	12
12. ხელფასები და სხვა სარგებელი.....	12
13. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	13
14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	13

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით

	შენიშვნა	31-12-24	31-12-23
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	4	2,385,680	354,227
სავაჭრო მოთხოვნები	5	2,390,938	58,837
სასაქონლო მატერიალური მარაგი		-	-
გადახდილი ავანსები	6	1,650,837	1,730,009
საგადასახადო აქტივი			
სხვა მიმდინარე აქტივები		1,664,121	1,050,050
სულ მოკლევადიანი აქტივები		8,091,576	3,193,123
გრძელევადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		12,924,594	3,908,998
სულ გრძელევადიანი აქტივები		12,924,594	3,908,998
სულ აქტივები		21,016,170	7,102,121
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	7	2,109,667	54,794
სხვა ვალდებულებები		177,101	52,753
მიღებული ავანსები	8	927,218	340,774
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		3,213,986	448,321
გრძელევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები		17,459,900	6,811,364
სულ გრძელევადიანი ვალდებულებები		17,459,900	6,811,364
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		0	0
გაუნაწილებელი მოგება		342,284	(157,564)
სულ საკუთარი კაპიტალი		342,284	(157,564)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		21,016,170	7,102,121

დირექტორი - გიგა მოწყობილი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი პროდუქციის რეალიზაციიდან	10	11,617,167	126,128
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	10	(6,641,334)	(72,780)
საერთო მოგება		4,975,833	53,348
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	11	(635,949)	(50,495)
ხელფასები და სხვა სარგებელი	12	(1,306,866)	(92,439)
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი		(1,022,950)	(11,775)
სხვა შემოსავლები		2,481	-
სხვა ხარჯები		(157,235)	-
მოგება პროცენტებამდე და საკურსო სხვაობამდე		1,855,314	(101,361)
საპროცენტო ხარჯი		(1,179,522)	(27,948)
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან		(175,943)	(28,255)
მოგება დაბეგვრამდე		499,848	(157,564)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		499,848	(157,564)

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	2024	2023
ნაშთი წლის დასაწყისში	(157,564)	-
წმინდა მოგება	499,848	(157,564)
გადახდილი დივიდენდი	-	-
ნაშთი წლის ბოლოს	342,284	(157,564)

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ჯითისი ქრენიქსი დაფუძნდა 2023 წლის 29 აგვისტოს. კომპანიის მისამართია: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, დავით აღმაშენებლის ქუჩა # 122. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 4405643157.

კომპანიის მეწილეებს წარმოადგენენ: 50% შპს ჯი თი სი ჯგუფი (ს/კ: 405324947), 50% შპს ანაგი (ს/კ: 245416401).

კომპანიის დირექტორია გიგა მოწყობილი.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კომპიუტერული პროგრამების იმპორტით შეძენა და შემდგომში მათი როგორც იჯარით გაცემა, ასევე რეალიზაცია.

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ შვილობილ კომპანიას

მფლობელი	კომპანიაში	31.12.2024 მფლობელობა	ყიდვის წელი	კლასიფიკაცია
შპს ჯითისი ქრენიქსი	შპს ვეება რენტ	100%	2024	შვილობილი

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს–ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2024 წლის 31 დეკემბერი	2.8068	2.9306
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და

ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. რაც შეეხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს, შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ოფისის აღჭურვილობა	5
მანქანა-დანადგარები	10
მსუბუქი ავტომობილები	10

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. კომპანიის მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების რეჟიმი; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

კომპანიას არჩეული აქვს თვითღირებულების მოდელი. შესაბამისად, არ ხდება ძირითადი საშუალებების საბაზრო ღირებულებაზე გადაფასება.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

3.3 ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარებულია მიღებული საზღაურის სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ნასესხები სახსრების აღრიცხვა ხდება ამორტიზებული

ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ გარიგების ხარჯების (მათ შორის სესხის გაცემის საკომისიო) წრფივი ამორტიზაციის მეთოდი არ იძლევა მატერიალურ სხვაობას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდთან, ასეთ შემთხვევაში ხდება ამ ხარჯების წრფივი ამორტიზაცია და საპროცენტო ხარჯში აღიარება დროის გასვლის პროპორციულად. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტისას, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში.

3.4 გადასახადები

მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით.

2017 წლის 1 იანვრიდან სამეურნეო სუბიექტების მიერ მიღებული წლიური მოგება საქართველოში არ იბეგრება, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ბანკებისა. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, რომელიც გაიცა ფიზიკურ პირებზე ან საქართველოს არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე 15/85 წმინდა განაწილებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადები, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები აღირიცხება ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

3.5 შემოსავალი

საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

3.6 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის, მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმო დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს აღიარებს, როგორც ვალდებულებას და როგორც პერიოდის ხარჯს.

3.7 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, რეკლამისა და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

ჯგუფს ფული განთავსებული აქვს საბანკო ანგარიშებზე.

2023 წლის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები შემდეგია:

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-24	31-12-23
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	477,701	243,227
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1,907,979	111,000
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	2,385,680	354,227

5. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები შედგება იმ დებიტორებისგან, რომელთაც ჯგუფმა გაუწია მომსახურება და რომელთაგანაც მომსახურების თანხა ჯერ არ იყო ჩარიცხული 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჯამში ჯგუფს გააჩნდა 20-მდე დებიტორი 2024 წლის ბოლოს. მათ შორის ყველაზე მსხვილი დებიტორია შპს ანაგი, რომლის მიმართ სავაჭრო მოთხოვნა 31-12-24 მდგომარეობით შეადგენდა 1,147,502 ლარს.

6. გადახდილი ავანსები

კომპანიის გადახდილი ავანსები ძირითადად უკავშირდება პროდუქციის იმპორტს და შესაბამისად მათი უდიდესი ნაწილი არარეზიდენტებზეა გადახდილი.

2024 წლის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები შემდეგია:

გადახდილი ავანსები	31-12-24	31-12-23
არარეზიდენტებთან წარმოქმნილი ავანსები	1,636,035	1,730,009
სხვა ავანსები	14,802	0
სულ გადახდილი ავანსები	1,650,837	1,730,009

7. სავაჭრო ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო ვალდებულებები ძირითადად წარმოშობილია საქართველოს ფარგლებს გარეთ რეგისტრირებულ კომპანიებთან.

მათი ბალანსები 2024 წლის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

სავაჭრო ვალდებულებები	31-12-24	31-12-23
-----------------------	----------	----------

არარეზიდენტებთან წარმოქმნილი სავაჭრო ვალდებულებები	1,939,261	0
რეზიდენტებთან წარმოქმნილი სავაჭრო ვალდებულებები	170,406	54,794
სულ სავაჭრო ვალდებულებები	2,109,667	54,794

8. მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები შედგება კლიენტი კომპანიების მიერ მომსახურებისთვის ჩარიცხული ავანსებისგან. აღნიშნული ავანსების შემოსავალში აღიარება მოხდება მომსახურების გაწევის შემდგომ. ჯამში ჯგუფს ჰქონდა მიღებული ავანსი 5-მდე კლიენტი კომპანიისგან 2024 წლის ბოლოს.

9. სასესხო ვალდებულებები

კომპანიას მიღებული აქვს სესხები ბანკისგან, რომელმაც წლის ბოლოს შეადგინა 17,449,900 ლარის ექვივალენტი. სესხი მიღებულია ევროში მიღებული სესხების ეფექტური საპროცენტო განაკვეთით 9,2%.

გარდა ამისა ზემოაღნიშნულ სასესხო ვალდებულებებზე კომპანიამ 2024 წლის განმავლობაში აღიარა 1,179,522 ლარის საპროცენტო ხარჯი.

10. შემოსავალი რეალიზაციიდან და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კოშკურა ამწეების შემოყვანა იმპორტით და შემდგომში მათი როგორც იჯარით გაცემა, ასევე რეალიზაცია.

შესაბამისად 2024 და 2023 წლების განმავლობაში ჯგუფმა მიიღო შემოსავალი როგორც ამწეების რეალიზაციიდან, ასევე იჯარიდან და სხვა მომსახურებებიდან.

დარიცხული შემოსავალი და მიწოდებული პროდუქციის თვითღირებულება წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

	2024	2023
შემოსავალი	11,617,167	126,129
შემოსავლები მომსახურებიდან	7,698,618	93,203
შემოსავლები გაყიდვიდან	3,918,549	32,925

თვითღირებულება:	(6,641,334)	(72,780)
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება მომსახურებიდან	(3,245,249)	(28,611)
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება რეალიზაციიდან	(3,396,085)	(44,170)
საერთო მოგება	4,975,833	53,348

11. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2024	2023
საბანკო მომსახურების ხარჯი	43,901	2,608
მივლინების ხარჯი	35,985	28,584
საწვავის ხარჯი	33,589	2,261
იჯარის ხარჯი	157,236	-
დაზღვევის ხარჯი	15,384	-
მიმდინარე რემონტის ხარჯი	122,842	508
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	227,012	16,534
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	635,949	50,495

12. ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. აღნიშნულ სარგებელში ასევე შედის კომპანიის წილი 2% საპენსიო სარგებელი, რომელსაც კომპანია უმატებს თანამშრომელს საკუთარი სახსრებით.

ხელფასებისა და სხვა სარგებლის ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ხელფასები და სხვა სარგებელი	2024	2023
დაკავშირებულ პირებზე გაცემული ხელფასები და სხვა სარგებელი	122,064	40,179
სხვა დაქირავებულ პირებზე გაცემული ხელფასები და სარგებელი	1,184,802	94,612
სულ ხელფასები და სხვა სარგებელი	1,306,866	134,791

13. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

2024 წელს მენეჯმენტზე დარიცხულმა კომპენსაციამ შეადგინა 122,064 ლარი, ხოლო 2023 წელს 40,179 ლარი.

14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას ან დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნებას.